20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება

02/05/2024 N 118/04

თბილისი

საბანკო დღის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ლ[2]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უქმე დღე, კერძოდ, 2024 წლის 3 მაისი, გამოცხადდეს საბანკო დღედ.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს ეროვნული ბანკი